ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4938006

ნომერი: AR1744654

თარიღი : 21.04.2020

გაცემის თარიღი : 26.04.2020

გაცნობის თარიღი : 27.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 15ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 21 აპრილს №AR1744654 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებით ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, №15ბ-ში, №01.19.34.002.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო ობიექტად საწყობის (ფუნქცია/დანიშნულება: დოკუმენტების საცავი/საწყობი) ნაცვლად დაფიქსირებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (ფუნქცია/დანიშნულება: საოფისე, საგამოფენო, სავაჭრო, სასაწყობე). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქეთევან ფანცულაიას მიერ 2019 წლის 04 დეკემბრის №AR1722443 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, №15ბ-ში, №01.19.34.002.178 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის (ფუნქცია/დანიშნულება: დოკუმენტების საცავი/საწყობი) მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, რაც დაკმაყოფილებულ იქნა სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებით. თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო მიეთითა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (ფუნქცია/დანიშნულება: საოფისე, საგამოფენო, სავაჭრო, სასაწყობე).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებაში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს საწყობი, ფუნქცია/დანიშნულებაში - დოკუმენტების საცავი/საწყობი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 24 თებერვლის №4870681 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.